ბ-539 1-VII, IX-XII № 1-39. გ.№13




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოცემის მეცხრე წელი

№ 1 (276)
სამშაბათი,
5
იანვარი,
1960 წ.
ფასი 20 კაპ.

5778

## მოგილოცავთ ახალ წელს, ძვირფასო მეგობრებო!

დადგა ახალი, 1960 წელი— მშვიდობის, ხალხთა ბედნიერების, სიცოცხლის უკვდავების, ადამიანის აზრის ყოვლისმძლეობის, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის, გამარჯვებების უქკნობი დაფნის გვირგვინის ერთი შტო, ერთი ოქროფურცელი...

ზეიმით გააცილა დიდმა საბჭოთა ხალხმა ძველი წელი და ზეიმითვე შეეგება ახლის მობრძანებას.

დაგვემშვიდობა საკაცობრიო აღმოჩენებისა და კაცთა გონების ტრიუმფალური გამარჯვებების წელი. წავიდა და გზისმანათობელ ვარსკვლავთა კრებულად წარიმძღვარა საბჭოთა ხალხის შრომითი მიღწევები, საბჭოთა მეცნიერების არნახული გამარჯვებები...

ახალი შემოქმედებითი ძალებით შეხვდა ახალ წელს ჩვენი დედასაქართველო, ჩვენი მშობლიური ქართველი ხალხი.

ახალი მიღწევებით შეეგება ახალ, ათასცხრაასსამოც წელს ჩვენი უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი — ჩვენი საამაყო სტუდენტობა, ჩვენი სახელოვანი პროფესორ-მასწავლებლები, ჩვენი მუშა-მოსამსახურეები.

ბევრი გააკეთეს, ბევრს მიაღწიეს, ბევრჯერ გაიმარჯვეს უნივერსიტეტელებმა და ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტმა წელმა სიამაყისა და მადლიერების გრძნობით ჩაიწერა აქტივში ჩვენი კოლექტივის მიღწევა-გამარჯვებანი და ნაკლოვანებები კი, რომლებიც ჩვენს მუშაობაში იყო, დაგვიტოვა, რათა საჩქაროდ გამოვასწოროთ ისინი და მიღწევებად დავაწეროთ ჩვენგან ზეიმით გაცილებულ ძველ წელიწადს.

ქართული მეცნიერების დიდი ტაძრის,—ჩვენი უნივერსიტეტის კოლექტივის ყოველმა წევრმა — სტუდენტმა, პროფესორმა, მასწავლებელმა, მუშამ, მოსამსახურემ, ხელმძღვანელმა მუშაკმა, კარგად იცის თავისი მუშაობის მიღწევაცა და ნაკლიც, და ვუსურვებთ მათ — მომავალში მიღწევათა მაქსიმალურსა და ნაკლოვანებათა მინიმალურ ციფრებს.

სულითა და გულით გილოცავთ ახალ წელს, ძვირფასო მეგობრებო, და როცა მისი გაცილების ჟამი დაჰკრავს, როცა 1961 წელი გვესტუმრება, ყველას სიამაყით გვეთქვას — „ჩვენი გამარჯვებებითაც იამაყე დედასამშობლოვ, მშობლიურო კომუნისტურო პარტიავ, უძლეველო საბჭოთა ხალხო!..“

## საუნივერსიტეტო პრემიების მინიჭება

უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ამასწინათ განიხილა საკითხი 1958 წელს უნივერსიტეტში შესრულებული და გამოქვეყნებული საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომებისათვის საუნივერსიტეტო პრემიების მიკუთვნების შესახებ.

სამეცნიერო საბჭომ გადაწყვიტა, რომ დაწესებული პირველი პრემია გაიყოს ორად და მიეკუთვნოს 1. პროფ. ლევან გოკიელს შრომისათვის — „მათემატიკის საფუძვლები“ (ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, თბ., 1958 წ.) 2. პროფ. კონსტანტინე წერეთელს შრომებისათვის — „თანამედროვე ასურული ქრესტომათია ლექსიკონითურთ და „Хрестоматия современного ассирийского языка со словарем“ (ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემები, თბ., 1958 წ.) — თვითეულს 7 500 მანეთის რაოდენობით.

მეორე საუნივერსიტეტო პრემია 10 000 მანეთის რაოდენობით მიენიჭა დოც. ნოე უკლებას შრომისათვის — „საბჭოთა კავშირის წყლის მეურნეობა“ (ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, თბ., 1958 წ.).

△

სურათზე: გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები (მარცხნიდან მარჯვნივ) — გ. სახენაშვილი და ტ. წერალოვი ემზადებიან ზამთრის საგამოცდო სესიებისათვის.

ფოტო ა. გემჯიანისა

▽

ჯუმბერ ტიკარაძე

## საახალწლო

ცადაწვდილ მთებს,
მშობლიურ მთებს
თოვლი მოსავს,
გულს—ოცნება ვრცელი,
შემოსულა...
მომილოცავს,
მომილოცავს,
სიხარულის,
სიმღერების წელი!

შემოსულა სიხარულით,
გამარჯვებით
სიცოცხლის და
სილამაზის ეშხით,
გაუმარჯოს —
ვინც უდგანან
დარაჯებად
მშობელ მიწას,
იარაღით ხელში.

გაუმარჯოს —
ვინც აქცევენ
ბაღნარებად
უსიცოცხლო ველებს,
გაუმარჯოს —
შვიდწლედების დაბადებას,
მუშის ხელებს,
დაკოჟრებულ ხელებს!

გაუმარჯოს —
ვინც შესებით,
ქალაქებით
უდაბნოებს მოქსოვს,
გაუმარჯოს —
ციურ სივრცის
დამარცხებას,
გაუმარჯოს —
დამარცხებულ კოსმოსს!

გაუმარჯოს
ამ ახალ წელს,
ამ სიცოცხლეს,
მომავლის გზას —
მართლაც ზღაპრულს,
ფართოს,
გაგიმარჯოს,
იდღეგრძელე,
დაილოცე —
მშობლიურო ხალხო!

ბ. ქართველიშვილი

## მზიდან მოფრინდა რაკეტით

მზიდან მოფრინდა, რაკეტით,
მოსილი მწვანე სამოსით, —
წელი საგმირო საქმეთა,
ახალი, ცხრაასსამოცი.
ჩამოიტანა დიდება,
ბედნიერება მარადი,
ვარსკვლავთა მიპატიჟება,
მზის მოსაწვევი ბარათი...
ჩამოიტანა მშვიდობის
მარადიული დაფნები,
დახია უამინდობის
და ომის შავი აფრები.
სამშობლოს გადაალოცა
სული — სიცოცხლედ, გული მზედ, —
ჭაბუკმა ცხრაასსამოცმა,
დიდ მწვერვალებს რომ უმიზნებს.



